წერილის ნომერი: **30-302130267**
თარიღი: **29/10/2021**
პინი: **0833**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის ანგარიში.

გთხოვთ,განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში

მიმდინარე წლის 9 თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 14210927 ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის (19862491 ლარი) 71,5%-ს შეადგენს, მათშორის გრანტების სახით ჩამორიცხულია 4630359 ლარი წლიური პროგნოზით გათვალისწინებულის 60,5%-ი, აქედან საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გრანტი 50000 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 395235 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩამორიცხულია 3353092 ლარი, წლიური პროგნოზის 59,8%-ი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის 610408 ლარი წლიური პროგნოზის 81,6%-ი, განათლების (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) ღონისძიებისათვის 23618 ლარი. საანალიზო პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) მიღებულია 9580568 ლარი, წლიური პროგნოზის (12214959 ლარი) 78,4%-ი, მათ შორის; დამატებითი ღირებულების გადასახადი მობილიზებულია წლიური გეგმის 74%-ი და შეადგენს 6077359 ლარს, საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადის საკასო შესრულება 391612 ლარს, წლიური გეგმის 130,5%-ი, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის სახით ჩამორიცხულია 14802 ლარი, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის შემოსავალმა 78788 ლარი შეადგინა, (წლიური პროგნოზის 157,6%), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი მიღებულია 115390 ლარი (პროგნოზის 18%-ი). ბიუჯეტში სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 2722848 ლარი წლიური პროგნოზის (2685740 ლარი) 101.4%-ი, არაფინანსური აქტივების (გაყიდვების) კლებიდან მიღებულია შემოსავალი 347667 ლარი, წლიური პროგნოზის 109,3%-ი.

მიმდინარე წლის 01 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში გაწეულია 14257156 ლარის ხარჯი, მათ შორის; 3771531 ლარი მიმართულია საბიუჯეტო დაფინანსების დაწესებულებებში შტატით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებაზე, რაც გაწეული საკასო ხარჯების 26,5%-ს შეადგენს, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 1614709 ლარი, გაწეული ხარჯების 11,3%-ი, ოფისის ხარჯებზე მიიმართა 526504 ლარი გაწეული ხარჯების 3,6%-ი, 9868 ლარი გაიხარჯა წარმომადგენლობით ღონისძიებებზე, სამედიცინო ხარჯი 12065 ლარი, 77346 ლარი გაიხარჯა კვებაზე (სკოლამდელი დაწესებულების პროდუქტის შეძენაზე) . საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ შეძენილი იქნა რბილი ინვენტარი 46793 ლარის, ტრანსპორტის ექსპლოატაციის ხარჯებმა 836385 ლარი შეადგინა, რაც გაწეული საკასო ხარჯების 5,9%-ია, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯებზე მიიმართა 475795 ლარი, გაწეული ხარჯების 3,3%-ი. საანალიზო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანების საუძველზე გამოიყო 39842 ლარი, მათ შორის 136 პირზე გაიცა 32486 ლარი ერთჯერადი სოციალური დახმარების სახით, ხოლო 7356 ლარი მიმართულია შეჭირვებულ მრავალშვილიან ოჯახებისათვის კვების პროდუქტების შესაძენად.

ბიუჯეტიდან სუფსიდირებით დაფინანსებამ 387217 ლარი შეადგინა, გაწეული ხარჯების 2,7%-ი, აქედან შპს „ლანჩხუთი“-ს (მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი) ფუნქციონირებისათვის მიიმართა 142000 ლარი, შპს „ქალთა საფეხბურთო კლუბის ლანჩხუთი ლანჩხუთი“ს დაფინანსებამ 115269 ლარი შეადგინა, კულტურის ღონისძიებების დაფინანსება

3600 ლარი, რელიგიური ღონისძიებების დაფინანსებაზე მიიმართა 40000 ლარი, სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებების დაფინანსებაზე (სუბსიდირებით) მიიმართა 57617 ლარი, ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობაზე მიიმართა 25000 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების საკასო ხარჯი 361754 ლარს შეადგენს, გაწეული ხარჯების 2,5%-ი, სხვა ხარჯების მუხლით დაფინანსება 245852 ლარია გაწეული ხარჯების 1,7%-ი. საანალიზო პერიოდში დაიფარა აღებული სესხის ძირითადი 29004 ლარი და დარიცხული პროცენტი 14517 ლარი სულ 43521 ლარი (სპეც მანქანისა და ნაგვის ურნების შეძენაზე) სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაიხარჯა 5787043 ლარი, გაწეული საკასო ხარჯების 40,6%-ი, აქედან საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციაზე მიიმართა 54354 ლარი, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა 280335 ლარი, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე მიიმართა 599563 ლარი, სოფლის პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 599563 ლარი, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიმართულია 4426835 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 76,5%-ი. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურებაზე გაიხარჯა 287955 ლარი.

ა(ა)იპ „ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიმართა 127661 ლარი, მათშორის; შტატით მომუშავეთა პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 94149 ლარი გაწეული საკასო ხარჯის 73,7%-ი, შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე 26860 ლარი , (21,2%), ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის“ ფუნქციონირებაზე მიიმართა 1688848 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე 11270815 ლარი ფაქტიური საკასო ხარჯის 75,2%-ი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 114972 ლარი (16,8%), არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 54586 ლარი. ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლის“ ფუნქციონირებაზე გაიხარჯა 209027 ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზე 29700 ლარი, საჯასო ხარჯის 14,2%-ი, შტაგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 151546 ლარი ფაქტიური საკასო ხარჯის 72,5%-ი. ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ ფუნქციონირებისათვის მიიმართა 675730 ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზე 262162 ლარი, საკასო ხარჯის 38,8%-ი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 260600 ლარი საკასო ხარჯის 38,6%-ი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიიმართა 34048 ლარი. ა(ა)იპ „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ ხელშეწყობაზე მიიმართა 238600 ლარი, მათშორის; შრომის ანაზღაურებაზე 216650 ლარი საკასო ხარჯის 90,8%-ი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 20265 ლარი, საკასო ხარჯის 8,5%-ი. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ფუნქციონირებაზე მიიმართა 113408 ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზე 73341 ლარი საკასო ხარჯის 64,7%-ი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 20338 ლარი საკასო ხარჯის 17,9%-ი. ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიმართა 1405480 ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზე 255255 ლარი საკასო ხარჯის 18,2%-ი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე 661367 ლარი საკასო ხარჯის 47,1%-ი, ტრანსპორტის მომსახურების ხარჯმა 269546 ლარი შეადგინა. საანალიზო პერიოდში

დასუფთავების ღონისძიებაზე მიმართულია 976974 ლარი სერვის ცენტრის მიერ გაწეული ხარჯების 69,5%-ი, გარე განათების ღონისძიებებზე 133225 ლარი ხარჯების 9,5%-ი, გამწვანების ღონისძიებებზე 117672 ლარი ხარჯების 8,4 %-ი, სასაფლაოს მოვლით ღონისძიებებზე 82598 ლარი ხარჯების 5,9%-ი, სოფლად წყალსადენი სისტემის მოვლით ღონისძიებებზე 65041 ლარი ხარჯების 4,6%-ი.